

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



„გ ა მ თ კ ი ც ე ჯ“

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების
ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტის
უფროსი

ჭ. ზეიშაძე

ზურაბ ზეცხრიკიძე

„16 01“ 2015 წელი

ეგზ. № 1

ადიგენის მუნიციპალიტეტის

2012-2013 წლების ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტის ანგარიში

აღ 2/00

2015 წელი

შინაარსი

აუდიტის მიზანი	3
აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	3
აუდიტორის პასუხისმგებლობა.....	4
ადიგენის მუნიციპალიტეტის ზოგადი მიმოხილვა	5
ადიგენის მუნიციპალიტეტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები	6
დასკვნის გაცემაზე უარის საფუძვლები	7
ფინანსური ანგარიშგების მომზადება და წარდგენა	7
სინთეზური და ანალიზური აღრიცხვა	8
ძირითადი კაპიტალის მოხმარება.....	10
ინვენტარიზაცია	11
აუდიტის დასკვნა - უარი დასკვნის გაცემაზე	12
აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი	13
აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები	13

აუდიტის მიზანი

აუდიტის მიზანია აუდიტის ობიექტის 2012-2013 წლების პერიოდის მდგომარეობით შედგენილი ბუღალტრული ანგარიშგების სისწორეზე მოსაზრების გამოთქმა.

აუდიტის ობიექტის ბუღალტრული ანგარიშგების ფორმები, რომლებზეც გაიცემა აუდიტორული დასკვნა, მოიცავს აუდიტის ობიექტის ბალანსს 2012-2013 წლების მდგომარეობით და ბალანსის დანართ ფორმებს, რომლებიც დადგენილია „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანებით.

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

აუდიტის ობიექტი ვალდებულია უზრუნველყოს ბუღალტრული ანგარიშგების მომზადება და სამართლიანად წარდგენა შემდეგი ნორმატიული აქტების შესაბამისად:

- „საქართველოში ბუღალტრული არღიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულება;
- „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული არღიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია;
- „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანება.

მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლობიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას. გარდა ამისა, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია აუდიტორებისათვის მოწოდებული ინფორმაციის სისწორესა და სისრულეზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსამსახურე ვალდებულია:

ა) აუდიტი წარმართოს უმაღლესი აუდიტორული ორგანოების აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად, რაც გულისხმობს პროფესიული ეთიკის მოთხოვნებთან შესაბამისობის დაცვას, ასევე აუდიტის დაგეგმვასა და ჩატარებას გონივრული რწმუნების მისაღებად იმის შესახებ, რომ აუდიტის ობიექტის ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობას;

ბ) დაიცვას საქართველოს კონსტიტუცია, ეს კანონი და სხვა ნორმატიული აქტები;

გ) აუდიტის ობიექტს გააცნოს აუდიტის სახეობა, მიზანი, პერიოდი და მხარეთა უფლება-მოვალეობანი;

დ) უზრუნველყოს პერსონალური მონაცემების, სახელმწიფო, სამსახურებრივი და კომერციული საიდუმლოებების დაცვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ე) აუდიტის შედეგები არ გახადოს საჯარო აუდიტის ანგარიშის შედგენამდე;

ვ) აუდიტის პროცესში შესაძლო დანაშაულის ნიშნების გამოვლენის შემთხვევაში დოკუმენტების ორიგინალები დაურთოს აუდიტის მასალებს, ხოლო მათი დამოწმებული ასლები დატოვოს აუდიტის ობიექტში;

ზ) დაიცვას სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსამსახურეთა ეთიკის კოდექსი;

თ) აუდიტის ჩატარებისას არ ჩაერიოს აუდიტის ობიექტის მიმდინარე საქმიანობაში.

აუდიტორული პროცედურები შეირჩევა აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე დაყრდნობით, რაც მოიცავს:

- ბუღალტრული ანგარიშგების ფორმებში არსებითი უზუსტობების, რისკებისა და კონტროლის მექანიზმების შეფასებას;

- ბუღალტრული აღრიცხვის სისტემისა და აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის მიერ შემუშავებული აღრიცხვის წესების შეფასებას;

- ანგარიშგების წარდგენის საერთო შეფასებას;

- სხვა დამატებით პროცედურებს, რომლებიც განისაზღვრება აუდიტის მსვლელობისას.

ადიგენის მუნიციპალიტეტის ზოგადი მიმოხილვა


ადიგენის მუნიციპალიტეტი არის დამოუკიდებელი იურიდიული პირი, რომელსაც აქვს თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები, განკარგავს საკუთარ ქონებასა და ბიუჯეტს. მუნიციპალიტეტი აერთიანებს 57 ტერიტორიულ ერთეულს, მათ შორის: ორ დაბას და 55 სოფელს. ადიგენის მუნიციპალიტეტის ფართობია 799.6 კვ.კმ. მოსახლეობის რიცხოვნობა შეადგენს 20.8 ათას კაცს¹. ადმინისტრაციული ცენტრია - დაბა ადიგენი.

ადიგენის მუნიციპალიტეტი საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის“, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის², საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიხედვით, 2012-2013 წლებში ადიგენის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები 10 028.8 ათასი ლარით განისაზღვრა. აქედან, შემოსავლებმა შეადგინა 9 987.4 ათასი ლარი და არაფინანსური აქტივების კლებამ - 41.4 ათასი ლარი.

შემოსავლებში ყველაზე მაღალი ხვედრითი წილით გამოირჩევა სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ტრანსფერები. 2012-2013 წლებში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლების თანაფარდობას აქვს შემდეგი სახე:

დიაგრამა 1. ადიგენის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები



¹ წყარო: www.geostat.ge

² აღნიშნული კანონი მოქმედებდა აუდიტის პერიოდში, ხოლო 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ მოქმედებს - ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი.

ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიხედვით, 2012-2013 წლებში ადიგენის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელებმა შეადგინა 8 892.1 ათასი ლარი. მათ შორის, ხარჯები იყო 6 311.4 ათასი ლარი, ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდა - 2 580.7 ათასი ლარი.

ადიგენის მუნიციპალიტეტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

მუნიციპალიტეტს გააჩნია საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებები. საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში ის ახორციელებს ინფრასტრუქტურულ, სოციალურ-კულტურულ, სკოლამდელი განათლებისა და სხვა ღონისძიებებს, ხოლო სახელმწიფო მმართველობის ორგანოების მიერ ადიგენის მუნიციპალიტეტისთვის დელეგირებულია შემდეგი უფლებამოსილებები: ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის უზრუნველყოფა. მუნიციპალიტეტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

- ✓ საბიუჯეტო პროცესის განხორციელება (საბიუჯეტო ურთიერთობა და პასუხისმგებლობა);
- ✓ ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღება, განაკვეთების განსაზღვრა და ამოღება;
- ✓ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტების განსაზღვრის მიზნით, მოქალაქეების ინტერესების გათვალისწინებით წინადადებების, დასკვნებისა და რეკომენდაციების მომზადება;
- ✓ იურიდიული პირების დაფუძნება, რეორგანიზაცია, ლიკვიდაცია;
- ✓ მუნიციპალური ქონების შექმნის, სარგებლობისა და განკარგვის საკითხების რეგულირება საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში;
- ✓ სივრცით-ტერიტორიული მოწყობა, განაშენიანება და ტერიტორიის კეთილმოწყობა;
- ✓ ინფრასტრუქტურის განვითარების საკითხებზე წინადადებების, დასკვნებისა და რეკომენდაციების მომზადება.

დასკვნის გაცემაზე უარის საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგების მომზადება და წარდგენა კრიტერიუმი

ადიგენის მუნიციპალიტეტი საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანების³ შესაბამისად, ვალდებულია დადგენილ ვადებში მოამზადოს პერიოდული და წლიური ფინანსური ანგარიშგებები, სადაც უნდა აისახოს ინფორმაცია ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის შესახებ.

არსებული მდგომარეობა

ადიგენის მუნიციპალიტეტს 2013 წელს არ შეუდგენია პერიოდული და წლიური ფინანსური ანგარიშგებები. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, ეს განპირობებულია იმით, რომ ის არ იცნობდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანებას. თუმცა აღნიშნული მიზეზი ვერ იქნება საკმარისი არგუმენტი პერიოდული და წლიური ფინანსური ანგარიშგებების მომზადებლობისათვის.

გავლენა

გამოვლენილი გარემოების შედეგად, ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს არ წარედგინება ზუსტი და სრული ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ფინანსური მდგომარეობის შესახებ. ასევე, არ ხდება ზუსტი და სრულყოფილი ინფორმაციის წარდგენა მუნიციპალიტეტის არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის, მატერიალური მარაგების მდგომარეობის, ფულადი სახსრების მოძრაობისა და სხვა ეკონომიკური ნაკადების შესახებ. აღნიშნულის შედეგად: გამგეობის ზემდგომი ორგანო და სხვა დაინტერესებული მხარეები ვერ ახდენენ წლიური ფინანსური შედეგების განხილვას, შეჯამებას, გასული და მიმდინარე წლების ფინანსური მდგომარეობის შედარებას და ანალიზს, რაც უზრუნველყოფს დასაგეგმი წლისათვის აქტივების რაციონალურ და ეფექტიან ხარჯვა-გამოყენებას, რეზერვების გამოვლენას და მობილიზებას; ხელმძღვანელობისთვის არ არის ხელმისაწვდომი მუნიციპალიტეტის რეალური ფინანსური სურათი; სხვა დაინტერესებულ მხარეებს არ ეძლევა საშუალება გაეცნოს მუნიციპალიტეტის მიერ მიღწეულ ფინანსურ

³ „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანება.

შედეგებს; არ ხდება შიდა საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება.

სინთეზური და ანალიზური აღრიცხვა კრიტერიუმი

ორგანიზაციაში ეკონომიკური მოვლენებისა და ნაკადების აღრიცხვის მიზნით, ადიგენის მუნიციპალიტეტი ვალდებულია იხელმძღვანელოს საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციით. ამავე ინსტრუქციით განსაზღვრულია ანგარიშთა გეგმა, რომლითაც ორგანიზაციამ უნდა მოახდინოს სხვადასხვა ეკონომიკური მოვლენების აღრიცხვა. პირველად დოკუმენტებში მოცემული ინფორმაცია გროვდება და სისტემატიზირდება სააღრიცხვო რეგისტრებში, რომლებიც შედგენილია ბუღალტრული აღრიცხვის საერთო მეთოდოლოგიური პრინციპების დაცვით და წარმოადგენს ბუღალტრული ანგარიშგების შედგენის საფუძველს.

არსებული მდგომარეობა

ადიგენის მუნიციპალიტეტმა აუდიტის ჯგუფს ვერ წარუდგინა 2012 წლის საბუღალტრო დოკუმენტაცია, გარდა, ინვენტარიზაციის მასალებისა. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, აღნიშნული დოკუმენტაცია ამოღებულ იქნა სამართალდამცავი ორგანოების მიერ.

2013 წელს მუნიციპალიტეტის მიერ არ ხდება საბუღალტრო აღრიცხვის სწორი ორგანიზება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. პასუხისმგებელი პირის განმარტებით და მოპოვებული მტკიცებულებებით ირკვევა, რომ მუნიციპალიტეტი ნაწილობრივ და ხარვეზებით უზრუნველყოფს ფინანსურ აღრიცხვას. კერძოდ, შესაბამის ბარათებზე აღრიცხვის გარეშე ადგენს ბუღალტრულ გატარებებს, არ ახდენს მათ გადატანას მემორიალურ ორდერში და ასახავს პირდაპირ მთავარ წიგნში. თუმცა მთავარი წიგნი მოიცავს ხარვეზებს და არ შეესაბამება №1321 ბრძანებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. კერძოდ, ზოგიერთი ეკონომიკური მოვლენა

აღურიცხავია ან არასწორად არის ასახული. ასევე დოკუმენტის გვერდები არ არის გადანომრილი და დამოწმებული ბეჭდითა და ხელმოწერით.

გავლენა

გამოვლენილი გარემოების შედეგად სინთეზური და ანალიზური აღრიცხვის არასათანადო გამოყენება გავლენას ახდენს სამეურნეო ოპერაციების შედეგად გაფორმებული დოკუმენტების საიმედოობაზე, მათი ქრონოლოგიურად დალაგების სიზუსტესა და სრულ აღრიცხვაზე, ასევე გავლენას ახდენს მათ საფუძველზე შედგენილი მემორიალური ორდერების მონაცემების უტყუარობაზე, რაც, თავის მხრივ, იწვევს ე.წ. „მთავარი წიგნისა“ და ბრუნვათა უწყისის არასწორ წარმოებას. აღნიშნულის გამო მუნიციპალიტეტის მიერ არასათანადოდ ხორციელდება:

- ✓ იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან სამეურნეო ოპერაციების შედეგად ანგარიშსწორების, მომუშავეთა შრომის ანაზღაურებისა და სხვა ეკონომიკური მოვლენების აღრიცხვა, რომლებიც გავლენას ახდენს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობაზე;
- ✓ მუნიციპალური საქმიანობის განხორციელების შედეგად მიღებული აქტივების ღირებულების შეფასება;
- ✓ სამეურნეო მოვლენის, აქტივებისა და ვალდებულებების დაჯგუფება ანგარიშთა გეგმის სტრუქტურის შესაბამისად;
- ✓ მუნიციპალიტეტის ყველა ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ აქტივების ნარჩენი ღირებულების (წმინდა ღირებულების) გაანგარიშება;
- ✓ დამტკიცებული ფორმით ფინანსური ანგარიშგების დადგენილ ვადებში შედგენა;
- ✓ ბუღალტრული აღრიცხვის მატერიალური/ელექტრონული ფორმის დოკუმენტების დადგენილი წესით შენახვა და არქივში ჩაბარება;
- ✓ არაფინანსური და ფინანსური აქტივებისა (ვალდებულებების) და სხვა დებიტორული (კრედიტორული) დავალიანებების ინვენტარიზაციაში მონაწილეობა და ინვენტარიზაციის შედეგების აღრიცხვაში ასახვა.

აღნიშნულ სააღრიცხვო მონაცემებზე დაყდნობით, ფინანსური ანგარიშგების მომზადების შემთხვევაში, ბალანსსა და მის დანართ ფორმებში ასახული ინფორმაცია

ვერ იქნებოდა ზუსტი და ვერ უზრუნველყოფდა სრული და სამართლიანი ინფორმაციის წარდგენას ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისათვის.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის მიერ არ შესრულდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანების მოთხოვნები.

ძირითადი კაპიტალის მოხმარება

კრიტერიუმი

ადიგენის მუნიციპალიტეტი საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის №439 ბრძანების⁴ შესაბამისად, ვალდებულია საკუთარ ბალანსზე არსებულ ძირითად აქტივებს დაარიცხოს ცვეთა. საფინანსო სამსახურმა ცვეთა უნდა აღრიცხოს ბუღალტრულად არაფინანსური აქტივების ღირებულების შემცირებით და ცვეთის ხარჯის აღიარებით, ხოლო შემდგომ ასახოს ფინანსურ ანგარიშგებაში.

არსებული მდგომარეობა

2013 წელს მუნიციპალიტეტის მიერ დაანგარიშებულია ცვეთის სიდიდე, თუმცა ბუღალტრულად არ არის აღრიცხული. შესაბამისად, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული აქტივების ღირებულება არ შემცირებულა ცვეთის სიდიდით.

გავლენა

ექსპლუატაციაში მყოფი არაფინანსური აქტივების აღრიცხვა ფიზიკური ცვეთის გათვალისწინების გარეშე, ანუ მათი პირვანდელი ღირებულებით, არასწორად ასახავს აქტივების რეალურ ღირებულებას. შესაბამისად, მუნიციპალიტეტს არ გააჩნია ინფორმაცია მის საკუთრებაში არსებული აქტივების რეალური (საბალანსო) ღირებულების შესახებ. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, საანგარიშო წლის ბოლოს ძირითადი აქტივის ფიზიკური ცვეთა აღიარებულ იქნება ხარჯად და აისახება ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ანგარიშის დებეტსა და ძირითადი აქტივების შესაბამისი ანგარიშის კრედიტში. აღნიშნული წესის გამოუყენებლობით მუნიციპალიტეტი, წლიური ფინანსური შედეგების გაანგარიშებისას არ ითვალისწინებს წლის განმავლობაში გაწეულ არაფულად (ცვეთის) ხარჯს.

⁴ „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის №439 ბრძანება.

ინვენტარიზაცია კრიტერიუმი

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანების⁵ - „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ თანახმად, ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშების მონაცემების უტყუარობის უზრუნველყოფის მიზნით, ორგანიზაცია ვალდებულია მოახდინოს ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია. საბიუჯეტო ორგანიზაციაში აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარება სავალდებულოა ყოველწლიურად, საბიუჯეტო წლის ბოლოს, გარდა უძრავი ქონებისა და საბიბლიოთეკო ფონდებისა, რომელთა ინვენტარიზაცია სავალდებულოა 3 წელიწადში ერთხელ მაინც. აღნიშნული ბრძანებით, აქტივების ჯგუფებისთვის განსაზღვრულია ინვენტარიზაციის ჩატარების რეკომენდებული სხვადასხვა ვადები. კერძოდ:

- ✓ ძირითადი აქტივების – საბიუჯეტო წლის ბოლოს, არა უადრეს პირველი ოქტომბრისა;
- ✓ სტრატეგიული მარაგების – საბიუჯეტო წლის ბოლოს, არა უადრეს პირველი ოქტომბრისა;
- ✓ ნედლეულისა და მასალების – წელიწადში ორჯერ მაინც;
- ✓ მატერიალური მარაგების – წელიწადში ერთხელ მაინც, არა უადრეს პირველი ოქტომბრისა;
- ✓ ფულადი ანგარიშებისა და ფულადი დოკუმენტების – კვარტალში ერთხელ მაინც;
- ✓ საწვავის – ყოველთვიურად;
- ✓ ფასეულობების – წელიწადში ერთხელ მაინც, საბიუჯეტო წლის ბოლოს, არა უადრეს პირველი ნოემბრისა;
- ✓ ფინანსური მოთხოვნებისა და ვალდებულებების – წელიწადში ორჯერ მაინც.

⁵ 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანება.

არსებული მდგომარეობა

ჩატარებული აუდიტორული პროცედურებითა და პასუხისმგებელი პირების განმარტებით გამოვლინდა, რომ 2013 წელს ადიგენის მუნიციპალიტეტში ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა, ხოლო 2012 წელს ჩატარდა ხარვეზებით. კერძოდ: ინვენტარიზაციის შესახებ ბრძანება არ ითვალისწინებდა და შესაბამისად, არ ჩატარებულა მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია. ასევე მიუხედავად იმისა, რომ ინვენტარიზაციის შესახებ ბრძანება მოიცავდა, ინვენტარიზაცია არ ჩატარდა ფულად საშუალებებს.

გავლენა

ის გარემოება, რომ 2012 წელს ინვენტარიზაციის პროცესი წარიმართა ხარვეზებით, ხოლო 2013 წელს საერთოდ არ ჩატარებულა, მიუთითებს იმაზე, რომ ორგანიზაციას სათანადო კონტროლი არ აქვს დაწესებული ძირითადი საშუალებების და მატერიალური მარაგების, ასევე მცირეფასიანი აქტივების მოძრაობაზე. ასევე არ ხდება ორგანიზაციის ბალანსზე რიცხული მოთხოვნებისა და ვალდებულებების რეალურობის შემოწმება, აქტივებისა და ვალდებულებების შედარება ფაქტობრივ ნაშთებთან. გამოვლენილი გარემოების შედეგად დარღვეულია „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანება.

აუდიტის დასკვნა - უარი დასკვნის გაცემაზე

მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოადგინა ფინანსური ანგარიშგება, ხოლო შესაბამისი საფინანსო დოკუმენტაცია ამოღებულია სამართალდამცავი ორგანოების მიერ, რის გამოც მასშტაბის შეზღუდვის გავლენა აუდიტზე არსებითი და ყოვლისმომცველია. აუდიტის ჯგუფმა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები აუდიტის ობიექტზე ვერ მოიპოვა, რის გამოც გამოთქვამს მოსაზრებას - „უარი დასკვნის გაცემაზე“.

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები

უფროსი აუდიტორი:

გიორგი შურღაია



ხელმოწერა 16.01.2015 თარიღი

აუდიტორი:

ირაკლი გოგოლიძე



ხელმოწერა 16.01.2015 თარიღი

აუდიტორი:


თეა არველაძე



ხელმოწერა 16.01.2015 თარიღი

აუდიტორ-ასისტენტი:

თათია ამბროლაძე



ხელმოწერა 16.01.2015 თარიღი